# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №37
## 2018 წლის 30 ოქტომბერი

## ქ. ბათუმი

## „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 27/02/2018წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.133.016244) დამტკიცებულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

**ა) დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

„4. მერის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში მის მოვალეობას მერის უფლებამოსილების აღდგენამდე ან ახალი მერის არჩევამდე ასრულებს მერის პირველი მოადგილე, თუ მერის პირველი მოადგილე თანამდებობაზე დანიშნული არ არის – მერის მოადგილე, ხოლო თუ მერს ორი ან ორზე მეტი მოადგილე ჰყავს – მერის უხუცესი მოადგილე. თუ მერის პირველი მოადგილე ან მერის მოადგილე დანიშნული არ არის, მერის მოვალეობას მერის უფლებამოსილების აღდგენამდე ან ახალი მერის არჩევამდე ასრულებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.“;

**ბ) დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

„1. მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან.“;

**გ) დებულების მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

**„მუხლი 17. მერიის პროფესიული საჯარო მოხელე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი**

1. მერიაში საჯარო სამსახურს ეწევა:

ა) მერიის პროფესიული საჯარო მოხელე, რომელიც დანიშნულია მერიის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობაზე;

ბ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულია მერიაში არამუდმივი სამუშაოს შესასრულებლად.

2. მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად დადებული შრომითი ხელშეკრულებით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით. მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან შრომით ხელშეკრულებას მუნიციპალიტეტის სახელით დებს მერი.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **ნადიმ ვარშანიძე**